



„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ სამოქალაქო საბჭოების მიერ 2019 წელს გამოვლენილი საჭიროებები შიდა ქართლში



„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამოქალაქო საბჭოების წევრებმა შიდა ქართლის 2 მუნიციპალიტეტის (ქარელი, გორი) 6 დასახლებაში 15 ინფრასტრუქტურული პრობლემა/საჭიროება გამოავლინეს.

როგორც აღმოჩნდა, ადგილობრივ საჭიროებებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგებაა. ხურვალეთის დევნილთა დასახლებაში სასმელი წყლით უზრუნველყოფას ითხოვენ, სოფელ დვანსა და უფლისციხეში კი წყლის ლაბორატორიული ანალიზის ჩატარებას. სოფელ უფლისციხეში, წყლის ლაბორატორიულ ანალიზთან ერთად, არსებულ წყაროებზე ონკანების დაყენებასაც მოითხოვენ. პრობლემებს შორის მოხვდა შიდა სასოფლო გზების, საბავშვო ბაღების არსებული მდგომარეობა და ა.შ.

სამოქალაქო საბჭოები ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით შექმნილი მოქალაქეთა არაფორმალური გაერთიანებებია, რომელთა მიზანია უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობითა და ჩვენი ორგანიზაციის შუამდგომლობით მოგვარდეს მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემები.

ორგანიზაცია გამოვლენილი პრობლემების შესახებ ინფორმაციას შესაბამის მუნიციპალიტეტებს ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების პროექტების დამტკიცებამდე აწვდის, რათა უზრუნველყოთ ამ საჭიროებების გათვალისწინება 2020 წლის ბიუჯეტში.

ამ მიზნით წარმოგიდგინებთ მოქალაქეების მიერ დასახელებული პრობლემების ჩამონათვალს:

შიდა ქართლი

ქარელი, სოფელი დვანი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
<ul style="list-style-type: none"> მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> შიდა გზების მოწყობა სოფლის უბნების დამაკავშირებელი დაზიანებული ხიდის რეაბილიტაცია
<ul style="list-style-type: none"> გაუმართავი სასმელი წყლის სისტემა 	<ul style="list-style-type: none"> სასმელი წყლის პერიოდული ლაბორატორიული ანალიზი და გამოვლენილი პრობლემების მოგვარება

გორი, სოფელი უფლისციხე	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
<ul style="list-style-type: none"> ბუნებრივი აირის არქონა სოფელში 	<ul style="list-style-type: none"> ბუნებრივი აირის შეყვანა სოფელში
<ul style="list-style-type: none"> გაუმართავი სასმელი წყლის სისტემა 	<ul style="list-style-type: none"> სასმელი წყლის ლაბორატორიული ანალიზი და გამოვლენილი პრობლემების მოგვარება ონკანების დაყენება სოფელში არსებულ წყაროებზე
<ul style="list-style-type: none"> სკოლის შენობის რეაბილიტაცია 	<ul style="list-style-type: none"> სკოლა არასრულად არის გარემონტებული: შენობას აქვს ღია დერეფნები და ზამთარში ძალიან ცივა. მოსახლეობა ითხოვს ამ დერეფნების კედლების ამოშენებას.

გორი, სოფელი სვენათი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
<ul style="list-style-type: none"> მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> შიდა სასოფლო გზების მოწყობა
<ul style="list-style-type: none"> მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> ჭიდაობის დარბაზისა და სოფლის სახლის მოწყობა

გორი, ხუჩვაღეთის დავნილთა დასახლება	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
<ul style="list-style-type: none"> სასმელი წყლის სისტემის გაუმართაობა 	<ul style="list-style-type: none"> დასახლების უზრუნველყოფა სასმელი წყლით

გორი, სოფელი ახალუბანი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
<ul style="list-style-type: none"> მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> სკვერის/სარეკრეაციო ზონის გაკეთება

გორი, სოფელი სკია	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
<ul style="list-style-type: none"> გაუმართავი სასმელი წყლის სისტემა 	<ul style="list-style-type: none"> სოფლის უზრუნველყოფა სასმელი წყლით
<ul style="list-style-type: none"> მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია

მნიშვნელოვანია, რომ გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტებმა ჩვენი სამოქალაქო საბჭოების წევრების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემები დაჩქარებულად შეისწავლონ, რათა მომავალი წლის ბიუჯეტში მათი გათვალისწინება მოესწროს.